# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება № 01-09-10/142

ქ. თბილისი 19 06 2019 წ.

**სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან წარმომადგენლის არჩევნების დანიშვნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-12 მუხლისადა სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, ბატონ გიორგი ქვარცხავას 2019 წლის 17 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (767895) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტუ-ს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმომადგენლის ასარჩევად დაინიშნოს არჩევნები 2019 წლის 10 ივლისს.
2. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი. ასისტენტი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც იგი ვალდებულია წინასწარ, არა უგვიანეს 2019 წლის

03 ივლისამდე წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამომრჩეველთა შესაბამის სიაში რეგისტრაციის მიზნით.

3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმომადგენელი აირჩევა საბჭოს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ სტუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 26 ივნისიდან და დასრულდეს 2019 წლის 03 ივლისს.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

7. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭომ 2019 წლის 26 ივნისამდე უზრუნველყოს საარჩევნო კომისიის შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (ქ.ქოქრაშვილი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტიზე არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

11. ბრძანება განთავსდეს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

**რექტორი** **არჩილ ფრანგიშვილი**